

# განყოფილება

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მინიტორინგის ჯგუფი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი [კანონმდებლობის](#) შესაბამისად.
- 1.2. დებულება განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მინიტორინგის ჯგუფის ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

### 2. ფუნქციები

- 2.1. ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად
- 2.2. ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს (მოდულები, საკრედიტო სისტემები და ა.შ.) დანერგვის გზითა აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების მომზადებას.
- 2.3. მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფო სააკრედიტაციო და სალიცენზიო სამსახურთან
- 2.4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთიანი საგანმანათლებლო პრაქტიკის შემუშავება და მისი კოორდინაცია
- 2.5. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ინსტიტუციური/შიგა სისტემის დანერგვა, მისი ამოქმედება და მართვა
- 2.6. საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ექსტერნული შეფასებისათვის
- 2.7. სწავლის, სწავლებისა და შეფასების ხარისხზე ორიენტირებული თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა

- 2.8. ზრუნვა სწავლების, სამეცნიერო კვლევის ერთიანობის უზრუნველყოფაზე
- 2.9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდანტების ჩართვა განათლების ხარისხის გაუმჯობესების და კონტროლის პროცესებში
- 2.10. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა ორიენტირება კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაზე, მისი შედეგების ერთიანი შეთანხმებული კრიტერიუმების ჩამოყალიბების გზით
- 2.11. სასწალო პროცესის მონიტორინგისა და კომპეტენციის ფარგლებში მართვის სკორდინაციის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის მასშტაბით
- 2.12. ხელშეწყობა სამეცნიერო პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად მომზადებაში – ინფორმაციული უზრუნველყოფით, საჭირო დოკუმენტაციასთან მუშაობით, პროექტირების ექსპერტიზით
- 2.13. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი, ანალიზი და ანალიზის შედეგების მუდმივი გათვალისწინება სწავლის და სწავლების პროცესში.
- 2.14. განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებთან, ევროპულ საგანამანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მათი გამოცდილების გაზიარება, სწავლა/სწავლების და კვლევების უზრუნველყოფაში
- 2.15. სისტემატურად აფასებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და კვლევით პროცესებს
- 2.16. ამზადებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუციური და პროგამული აკრედიტაციისათვის
- 2.17. განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის კრიტერიუმებსა და მათი გამოყენების მეთოდოლოგიას. ხელმძღვანელობს ფაკულტეტებზე მიმდინარე სასწავლო და კვლევითი პროცესების შეფასებისას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებითა და მეთოდოლოგიებით.

### 3. განყოფილების სტრუქტურა

- 3.1. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი.
- 3.2. განყოფილებაში სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.
- 3.3. განყოფილების თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

34. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სტუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. დებულება ძალაშია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

1. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და განყოფილების ლიკვიდაციის შემთხვევაში.